ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N01.601.13.

საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურეობები

(CPV- 60100000)

გამარტივებული შესყიდვა

ქ. თბილისი „25" ოქტომბერი, 2019 წელი.

ერთის მხრივ, **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საჯარო სამართლის იურიდიული პირი „112"** (მის: ქ. თბილისი, ლისის ქ. N1[1], საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი - TRESGE22, საიდ. კოდი - 204579429), შემდგომში წოდებული `შემსყიდველად'', წარმოდგენილი დირექტორის **ავთანდილ ჩიტაძის** სახით და მეორეს მხრივ

მიმწოდებელი: შპს „ავტო დახმარება ჯუბა", საიდენტიფიკაციო კოდი: **400021230**

მისამართი, ტელეფონი: ქ. თბილისი, როსტევან მეფის ქ. N1; 599 222 121; jubaplus@mail.ru

დირექტორი: ჯუმბერ ხუხია

საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი"; ბანკის კოდი: TBCBGE22; ანგარიშის ნომერი: GE70TB 7909 8360 8010 0001

ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის N2463 განკარგულების თანახმად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 „მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანი არის: საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურეობები, წინამდებარე ხელშეკრულების 5.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად.
2.2 დაფინანსების წყარო შსს სსიპ „112"-ის 2019 წლის საკუთარი შემოსავლები.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **500.00 (ხუთასი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.**
3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მხარეთა განცხადებები

4.1 მიმწოდებელი აცხადებს, რომ:
ა) გააჩნია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისთვის საჭირო შესაბამისი ტვირთამწეობის ტექნიკა (შემდგომში - „ტექნიკა"), ასევე მისი მართვისთვის აუცილებელი კატეგორიის მართვის მოწმობა;
ბ) მომსახურების გაწევის საწყის ეტაპზე ტექნიკა იმყოფება ექსპლუატაციისთვის ვარგის მდგომარეობაში;
გ) ტრანსპორტირების პროცესში ტექნიკის გადაადგილებას უზრუნველყოფს საგზაო მოძრაობის მარეგულირებელი წესებისა და უსაფრთხოების შესაბამისი ნორმების დაცვით;
დ) ფლობს მომსახურების გაწევისთვის აუცილებელ პიროვნულ/პროფესიულ უნარ-ჩვევებს;
4.2 შემსყიდველი აცხადებს, რომ მოქმედი კანონმდებლობით აქვს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების უფლებამოსილება გამარტივებული შესყიდვის მეშვეობით.
4.3 თითოეული მხარე სრულად არის პასუხისმგებელი ამ მუხლით გათვალისწინებული განცხადებების ნამდვილობაზე. ამ მიზნით, თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს სრულად აუნაზღაუროს ნებისმიერი ზიანი, რომელიც ამ უკანასკნელს შეიძლება დაეკისროს ბრალეული მხარის ან მესამე პირის მხრიდან, თუ ასეთი ზიანის წარმოშობა გამომდინარეობს ამ მუხლში არსებული განცხადებების უზუსტობიდან.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს შემდეგი მომსახურების გაწევა: ქ. თბილისში, ლილოს ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიიდან შსს სსიპ „112"-ის ვარკეთილის საჯარიმო სადგომზე VOLVO-ს მარკის სატვირთო ავტომანქანის (სახელმწიფო ნომრით - WVY-385) გადაყვანა სპეციალიზებული ტექნიკით (სახელმწიფო ნომრით: AH-479-HA).

ვადა/პერიოდი: **2019 წლის 25 ოქტომბერი.**

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;
გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.
5.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;
ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
6.2 შემსყიდველის მხრიდან უფლებამოსილი მხარე - შსს სსიპ „112"-ის საფინანსო და ლოჯისტიკის სამსახურის უფროსის მოადგილე - იოსებ ქურხაშვილი.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;
ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მისი საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
7.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან **10** (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, წერილობითი ფორმით.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს შესაძლოა დაეკისროთ პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 2%-ის ოდენობით;
9.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ნაწილობრივი შესრულების ან არაჯეროვანი შესრულების მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.
9.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. დავების გადაწყვეტა

10.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.
10.2 თუ ასეთი მოლაპარაკების შედეგად შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

13.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოებები შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით, კანონში ან კანონქვემდებარე აქტში ცვლილების შეტანით, ნებისმიერი ისეთი ტექნიკური/ბუნებრივი გარემოებების არსებობით, რაც შეუძლებელს ხდის მხარეთა მიერ ნაკისრი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას და რაც მოქმედი კანონმდებლობისა და სახელშეკრულებო სამართლის დამკვიდრებული პრინციპების თანახმად შეიძლება ჩაითვალოს ფორსმაჟორული ხასიათის მქონედ.

13.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

შსს სსიპ „112" -ის დირექტორი	შპს „ავტო დახმარება ჯუბა"-ს დირექტორი
ავთანდილ ჩიტაძე	ჯუმბერ ხუხია

Avtandil Chitadze

Digitally signed by Avtandil Chitadze
Date: 2019.10.29 16:40:24 +04'00'

JUMBER KHUKHIA

Подписано цифровой подписью: JUMBER KHUKHIA
Дата: 2019.11.08 18:33:52 +04'00'